ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 60-7-223-291

ქ. თბილისი **22 მაისი 2023 წ.**

1. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2023 წლის 22 მაისს, ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სა,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრის გიორგი გელაშვილის (მინდობილობა #221356227) სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ **შპს „ორიენტ ლოჯიკ“-ს** შორის, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით (შემდგომში – ,,მიმწოდებელი’’), რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია მიაწოდოს ,,შემსყიდველს“ მყარი დისკები (**CPV 30233132**) წინამდებარე ხელშეკრულების, მისი დანართი #1-ის (ფასების ცხრილი);

2.2. დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **7 570 (შვიდი ათას ხუთასსამოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“);

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად მიწოდებულ საქონელზე ან/და საქონლის მიწოდების დასრულებისას ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე საქონელზე აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი” ვალდებულია ,,შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს აღმოჩენილი ნაკლოვანება ან წუნდებული საქონელი შეცვალოს ახლით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დააყოვნებს ანგარიშსწორების პროცესს იმ ვადით, სანამ მიმწოდებლის მიერ სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება;

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება **ლარში,** უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 “მიმწოდებელი” ვალდებულია:

4.1.1 გადასცეს “შემსყიდველს” ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თვისუფალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი (არ უნდა იყოს აღდგენილი და მეორადი) საქონელი.

4.1.2 საქონლის მოწოდება განხორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად;

4.2 “შემსყიდველი” ვალდებულია:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3 წერილობით შეატყობინოს “მიმწოდებელს” მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ საქონლი უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 „მიმწოდებელმა“ „შემსყიდველს“ საქონლი უნდა მიაწოდოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2 (საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს საქონლის ტრანსპორტირებისა ხარჯების გათვალისწინებით).

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

6.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი/ინსპექტირება ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.3 ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს/ინსპექტირებას ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საინფორმაციო სისტემების ადმინისტრირების სამსახურის უფროსი გიორგი პერანიძე.

6.4 კონტროლი/ინსპექტირება განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

6.5 საქონლის მოწოდებისას “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან და აფორმებს შესაბამის ინსპექტირების აქტს, ფაქტობრივად მიღებული საქონლის მიხედვით.

7. გარანტია

7.1 “მიმწოდებელი” იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებულ საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

7.2 შესაბამისი ექსპლუატაციის პირობებში ,,მიმწოდებლის“ მიერ მოწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა არის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **ერთი წელი.**

7.3 საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა;

7.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილი რაიმე ხარვეზის ან შეუსაბამობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონელზე გამოვლენილი ნაკლის/ხარვეზის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს **5 სამუშაო დღის** განმავლობაში, ან წუნდებული საქონლის შეცვლა, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს **20 სამუშაო დღის** განმავლობაში, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.5 თუკი საგარანტიო ვადის ფარგლებში საქონელი შეიცვლება ახლით მასზე გავრცელდება საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **ერთი წელი**.

7.6 გარანტიის მოქმედების არეალი მოიცავს საქართველოს ტერიტორიას.

7.7 წუნის/ხარვეზის/დეფექტის/გაუმართაობის შემთხვევაში საქონლის ტრანსპორტირება (მათ შორის საქართველოს საზღვრებს გარეთ) უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება დადებითი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საბოლოოდ, სრულად ან/და მიწოდების დასრულებისას ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

8.2 საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

8.3 “შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი არის სს “სსე”-ს დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრი ან/და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი”.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით საქონლის დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

9.2 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.

9.3 ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო “მიმწოდებელს” გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ან არ შეცვლის საქონელს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის/საქონლის შეცვლისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების/საქონლის შეცვლის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

9.4 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებლი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას;

9.6 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ,,შემსყიდველისათვის“ 9.4 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ურთიერთობა მხარეებს შორის

11.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, ხორციელდება საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით;

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

11.3 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

12.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

12.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

12.3.1 მხარეთა შეთანხმებით;

12.3.2 ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

12.4 ,,შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

12.4.1 თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.4.2 ,,მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

12.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

12.4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5 ამ მუხლის 12.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. დავის განხილვა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე;

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს **2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით**, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

16.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

17. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

17.1 მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2
ს/კ 204995176
სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი # TBCBGE 22
ანგარიშის# GE02TB0600000102467636

გიორგი გელაშვილი
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრი

„მიმწოდებელი“:

შპს „ორიენტ ლოჯიკ“
ტელ: 2541818
ფ/მ თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა, N7
ს/კ 202052054
სს „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის# GE96 BS00 0000 0005 9368 72

ვაჟა ნასყიდაშვილი

ORIENT LOGIC LLC Digitally signed by ORIENT LOGIC LLC
Date: 2023.05.22 17:35:58 +04'00'

დირექტორი

დანართი #1

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	განზ.	რ-ბა	ტექნიკური აღწერილობა	ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით
1	2	3	4	5	6
1	დისკურ მასივთან MSA 2050 SAN თავსებადი მყარი დისკი	**კომპლ.**	1	HPE MSA 10.8T SAS 10K SFF პაკეტი, 1 კომპლექტი შედგება 6 ცალი 1.8 TB დისკისაგან	**7 570.00**

„შემსყიდველი“:
სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

„მიმწოდებელი“:
შპს „ორიენტ ლოჯიკ“

გიორგი გელაშვილი
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრი

ვაჟა ნასყიდაშვილი
დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2023.05.22 17:41:13 +04'00'